დამხმარე რესურსი პედაგოგისათვის სასწავლო თემის დასაგეგმად

მოქალაქეობა X კლასი

თემა: გარემოს დაცვა

ავტორები: ნინო ჭიაბრიშვილი (სამუშაო ჯგუფის ლიდერი)

სოფიო ბაჩილავა

ბაკურ ხიჯაკაძე

კონსულტანტი: შალვა მეკრავიშვილი

რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი

2020 წელი.

დამხმარე რესურსი მომზადდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მოცემული დამხმარე რესურსი მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრებათ ავტორებს და ის არ წამოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მოქალაქეობა
X კლასი

თემა: გარემოს დაცვა	საათების სავარაუდო რაოდენობა – 16 (+4)

საკითხები

1. კლიმატის ცვლილება – 4 საათი
2. მწვანეთა მოძრაობა – 4 საათი
3. ენერგიის ალტერნატიული წყაროები – 4 საათი
4. იუნესკო – 4 საათი

შემაჯამებელი სამუშაო - 4 საათი

ცნებები

სოციალიზაცია - მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები

დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები

ინიციატივა - დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები

სამოქალაქო მონაწილეობა - მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება

მდგრადი განვითარება - სამოქალაქო უსაფრთხოება

საკვანძო შეკითხვები

- რატომ აწყდებიან დაბრკოლებებს გარემოს დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციები მუშაობის პროცესში?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების შემცირება და მათი მეორადი გადამუშავება?
- უნდა მივიჩნიოთ თუ არა კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების განზრახ დაზიანება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად?
- როგორ შემიძლია ხელი შევუწყო გარემოს დაცვას საერთაშორისო დონეზე?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სოციალიზაცია

- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჭიროების გაანალიზება ადამიანის უფლებების (ჯანმრთელობის დაცვის უფლება, უფლება სუფთა გარემოზე, ჰაერზე, წყალსა და საკვებზე, უფლება სათანადო საცხოვრისზე, კულტურული იდენტობის შენარჩუნების უფლება) ჭრილში **(მოქ.საბ.1,2,3,5,6,8,9,10,11,13);**

დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები

- ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინება **(მოქ.საბ.3,4,5,7,10,11,13);**

ინიციატივა

- მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური (კლიმატის ცვლილება, გარემოს დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს), გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული (კულტურული მემკვიდრეობის დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში) პრობლემების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება; საკუთარი ჩართულობით მათი გადაჭრის გზებისა და ამისათვის საჭირო რესურსების გაანალიზება **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13);**

სამოქალაქო მონაწილეობა

- მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში მოქალაქის მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13);**

მდგრადი განვითარება

- ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება **(მოქ.საბ.3,5,7,10,11,13).**

მკვიდრი წარმოდგენები

- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის განზრახ დაზიანება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს უტოლდება;
- გარემოს დაცვა იგივე ჩვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაა;
- ჩვენს ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს (მაგ. მდინარის დაბინძურება – მსოფლიო ოკეანის დაბინძურება);
- გლობალური ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება ინდივიდის, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ქმედებებზეა დამოკიდებული (მაგ., პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა);
- გარემოს დაცვაზე ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია ზრუნავს.

ეტაპების/ნაბიჯების სახით სასწავლო თემის აგების ნიმუში

1. საკითხი - კლიმატის ცვლილება – 4 საათი

<u>საკითხის მიზნები:</u> მოსწავლეები: გააცნობიერებენ კლიმატის ცვლილების თანამედროვე გამოწვევებს, მის თანმდევ გლობალურ რისკებსა და ზიანს; შეძლებენ დაასახელონ და არგუმენტირებულად დააჯგუფონ კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზები და მათი პრევენციის/გადაჭრის გზები; შეძლებენ განსაზღვრონ და შეიტანონ საკუთარი წვლილი კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ პრობლემებთან ბრძოლასა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებაში.

<u>საკვანძო შეკითხვები:</u>

- რა იგულისხმება კლიმატის ცვლილებაში?
- რა იწვევს კლიმატის ცვლილებას?
- რა ზიანი გამოიწვია დღემდე კლიმატის ცვლილებამ და რა რისკებთანაა დაკავშირებული სამომავლოდ?
- რომელია კლიმატის ცვლილების პრევენციის ეფექტური გზები?
- რა კავშირია ქვეყნის განვითარების დონეს, ემისიის მაჩვენებელსა და კლიმატის ცვლილების საფრთხეს შორის?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ეკოსისტემის დაცვა? როგორ შეიძლება წვლილი შევიტანოთ გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაში?
- რა გულისხმობს „სათბურის ეფექტი“?

<u>**თემატური ცნებები:**</u>

- კლიმატის ცვლილება
- გლობალური დათბობა
- ეკოსისტემის დაცვა
- მდგრადი განვითარება
- ,,სათბურის ეფექტი“

აქტივობა

მოსწავლეები ნახავენ სიუჟეტს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. შემდეგ მოსწავლეები იმსჯელებენ კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის საკითხებზე. მსჯელობა წარიმართება შემდეგ საორიენტაციო საკითხებზე:

- არის თუ არა კლიმატის ცვლილება თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა?
- რა ფაქტორები განაპირობებს კლიმატის ცვლილებას?
- რამდენად დიდია ადამიანის როლი კლიმატის ცვლილებასა და მასთან დაკავშირებულ ზიანში?
- რა გზებით შეიძლება კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა?
- რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდული აქტივიზმი კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში?
- რა შეგვიძლია გავაკეთოთ თითოეულმა ჩვენგანმა კლიმატის ცვლილების თავიდან ასაცილებლად/შედეგების შესამცირებლად?

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას ონლაინ გამოწვევის #trashtag challange-ის შესახებ (ტექსტი ინგლისურ ენაზეა). აღნიშნული გამოწვევა გულისხმობს დანაგვიანებული ადგილის დასუფთავებას, დალაგებამდე და დალაგების შემდეგ მდგომარეობის ფოტოზე აღბეჭდვას და სოციალურ ქსელში გამოქვეყნებას. მასწავლებელი იწვევს მოსწავლეებს #trashtag challange-ში. ის მოსწავლეები და, სურვილის შემთხვევაში, მასწავლებელიც, ვინც მიიღებს გამოწვევაში მონაწილეობას, კლასს წარუდგენს ფოტოებს, გამოხმაურებებს ქსელში, გაუზიარებს გამოცდილებასა და ემოციებს. აღნიშნული აქტივობა შესაძლებელია ჩატარდეს მთლიანად სასკოლო თემის ფარგლებში.

აქტივობა[1]

[1] დედამიწის ყინულოვანი საფარის მდგომარეობის საკითხზე სამუშაოდ დამატებით რესურსად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ვებგვერდი: https://www.notokmovie.com/

მოსწავლეები გაეცნობიან სტატიას სახელწოდებით ისლანდიელები დამდნარ მყინვარს დაემშვიდობნენ და მსჯელობენ: რა იგულისხმება კლიმატის ცვლილებაში? რა იწვევს კლიმატის ცვლილებას? რა ზიანი გამოიწვია დღემდე კლიმატის ცვლილებამ და რა რისკებთანაა დაკავშირებული სამომავლოდ?

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ვებგვერდზე https://www.notokmovie.com/ მოცემულ მემორიალურ დაფას სახელწოდებით „წერილი მომავალში“ (A Letter to the Future), რომელიც 2019 წლის აგვისტოში დაიდგა და ისლანდიაში უდიდესი მყინვარის ოკიეკუდლის, შემოკლებით ოკ–ის (OK) დადნობას მიეძღვნა. დაფაზე წარწერის ქართული თარგმანია: OK პირველი მყინვარია ისლანდიაში, რომელმაც მყინვარის სტატუსი დაკარგა. მოსალოდნელია, რომ მომდევნო 200 წლის განმავლობაში ყველა ჩვენს მყინვარს იგივე ბედი ელის. ამ მემორიალური დაფით ვადასტურებთ, რომ ვიცით რა ხდება და რა უნდა გაკეთდეს. მხოლოდ თქვენ იცით, გავაკეთეთ თუ არა.
მოსწავლეები მსჯელობენ სხვადასხვა დონეებზე (ინდივიდს, საზოგადოების/თემის, სახელმწიფოს) გადასადგმელი ნაბიჯების მნიშვნელობაზე და ამ ნაბიჯების გადადგმის პასუხისმგებლობაზე.

აქტივობა

მოსწავლეები ეწვევიან საერთაშორისო ორგანიზაციის water.org საიტს, გაეცნობიან სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც ასახავს მსოფლიოში სასმელ წყალზე წვდომის კრიზისს, ნახავენ ვიდეოებს სახელწოდებით The Power of Water და Kinslahafti's Story of Joy ასევე უყურებენ ვიდეოს გაეროს მდგრადი განვითარების მე-6 მიზანზე SDG 6: Ambitious, but not rocket science. და იმსჯელებენ რატომ არის მნიშვნელოვანი ეკოსისტემის დაცვა? როგორ შეიძლება წვლილი შევიტანოთ გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაში? რა ნაბიჯებს დაამატებდნენ ისინი გაეროს რეკომენდაციებს სასმელი წყლის რესურსის შენარჩუნებისა და მასზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად?

აქტივობა

მოსწავლეები ეცნობიან https://www.charitywater.org/–ის მიერ მომზადებულ ვიდეოს წყალი ყველაფერს ცვლის (Water Changes Everything). იმართება მსჯელობა წყლის გარდამქმნელ მნიშვნელობაზე – ჯანმრთელობაზე, საკვების უსაფრთხოებაზე, განათლებასა და, ზოგადად, ცხოვრებაზე მის გავლენაზე; წყლის კრიზისის გამომწვევ ფაქტორებზე; თითოეული ინდივიდის მიერ წყლის კრიზისის დასაძლევად გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებზე. ამზადებენ სლოგანს, რომლის მიზანია წყლისადმი მომჭირნე დამოკიდებულების ხელშეწყობა სასკოლო თემში. (შესაძლებელია ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება ბიოლოგიის და გეოგრაფიის მასწავლებლებთან ერთად.)

აქტივობა

მოსწავლეები გაეცნობიან სტატიას სახელწოდებით რატომ არ არსებობს ბუნებისთვის სასარგებლო და მავნებელი ცხოველები და უყურებენ ვიდეოს სახელწოდებით How Wolves Change Rivers, რომელიც მოგვითხრობს, თუ რა გავლენა ჰქონდა მგლების გაქრობას იელოუსტოუნის ეროვნულ პარკზე და რა შედეგი მოიტანა მათმა დაბრუნებამ ეკოსისტემაზე. ვიდეოს ნახვის შემდეგ მოსწავლეები იმსჯელებენ რატომ არის მნიშვნელოვანი ეკოსისტემის დაცვა? და რამდენად მნიშვნელოვანია, ეკოსისტემის და მისი თითოეული წარმომადგენლის შენარჩუნება.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ეკოლოგიურ ანაბეჭდს. (ეკოლოგიური ანაბეჭდი ინგლისურ ენაზეა, შესაბამისად, შესაძლებელია, ამ გაკვეთილის ინგლისურის გაკვეთილთან ინტეგრაცია). მოსწავლეები ავსებენ ანაბეჭდს, შემდეგ ადარებენ ერთმანეთის ნამუშევრებს, მსჯელობენ თავიანთ ეკოლოგიურ ანაბეჭდზე, მათ გავლენაზე გარემოსა და კლიმატის საკითხებთან მიმართებაში.

ქართული თარგმანი:

გადაადგილება: 1. დავდივარ ფეხით; 2. ვსარგებლობ ველოსიპედით; 3 ვსარგებლობ ავტობუსით; 4. ვსარგებლობ ე.წ. დამგზავრებით;

საზოგადოება: 5. მდგრადი განვითარების შესახებ სკოლაში ვისწავლე; 6. გარემოს დაცვის საკითხებზე ვესაუბრები მშობლებს; 7. პოზიციას ვაფიქსირებ გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე; 8. ვმოხალისეობ;

მოხმარება: 9. ახალი ნივთის შეძენამდე ვაანალიზებ: მჭირდება თუ არა ეს ნივთი? შემიძლია თუ არა ვითხოვო? შემიძლია თუ არა მეორადი შევიძინო?; 10. მირჩევნია შევაკეთო ნივთები, ვიდრე გადავყარო; 11. საყიდლების ჩასაწყობად საკუთარ ჩანთას ვიყენებ და არა ერთჯერად პარკს;

წყალი: 12. წყალს ვზოგავ; 13. ონკანის წყალს ვსვამ; 14. მაქვს კონტეინერი წვიმის წყლისთვის; 15. ვიცი, სახლში წყალი საიდან მიმეწოდება;

საკვები: 16. ვჭამ ვეგეტარიანულ საკვებს; 17. მივდევ მებაღეობას; 18. უმეტესწილად სახლში მომზადებულ საკვებს ვჭამ; 19. ვაწარმოებ კომპოსტს;

სახლი: 20. სინათლეს ვაქრობ, თუკი საჭირო არ არის; 21. ვიყენებ თერმოსტატს; 22. ვთიშავ ელექტრომოწყობილობებს, როდესაც მათ არ ვიყენებ; 23. დამირგავს ხე;

ნარჩენები: 24. ნარჩენებს გადავამუშავებ; 25. ვამჯობინებ უნარჩენო საუზმეს; 26. უსაფრთხოების წესების დაცვით ვყრი საშიშ ნარჩენებს (საღებავი, ელემენტები, სხვა ელექტრონული ნივთები);

27. მიყვარს ბუნებაში ყოფნა და მისი დაცვა.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ წესებს, ნარჩენების მართვის პრინციპებს და ნარჩენების მართვის ზოგად მოთხოვნებს (მე-5 და მე-7 მუხლი). შემდეგ სტატიას ნარჩენების მართვა საქართველოში, სადაც აღწერილია საქართველოში ნარჩენების მართვის მდგომარეობა. იმართება მსჯელობა საქართველოში ნარჩენების მართვის საკანონმდებლო მოთხოვნებისა და არსებული რეალობის შესახებ. მოსწავლეები ცდილობენ იმ სავარაუდო ფაქტორების/წინააღმდეგობების გაანალიზებას, რომელიც აფერხებს კანონმდებლობის განხორციელებას.
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ მომდევნო გაკვეთილისთვის შეისწავლონ თემში/ქალაქში/სოფელში არსებული სიტუაცია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით და კლასს წარუდგინონ მათ მიერ მომზადებული სიტუაციის ამსახველი ფოტო/ვიდეო/ტექსტური მასალა. კლასი იმსჯელებს და შეაჯერებს პრობლემის გადაჭრის გზებსა და სტრატეგიებს.

აქტივობა
მოსწავლეები ნახავენ ვიდეო-რგოლს სახელწოდებით ოკეანეები და გლობალური დათბობა და უპასუხებენ კითხვებს: რა იწვევს კლიმატის ცვლილებას? რა ზიანი გამოიწვია დღემდე კლიმატის ცვლილებამ და რა რისკებთანაა დაკავშირებული სამომავლოდ? რომელია კლიმატის ცვლილების პრევენციის ეფექტური გზები? რატომ არის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება მნიშვნელოვანი?

აქტივობა
მოსწავლეები ნახავენ ვიდეო-რგოლებს სახელწოდებით Plastic Pollution, See wave of garbage crash off the Dominican Republic და Ocean of the Future - Greenpeace და იმსჯელებენ როგორ აისახება პლასტმასის მოხმარება ბუნებაზე ახლა და რა გავლენა ექნება მას მომავალში. მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს პატარა ფურცლებს და სთხოვს ანონიმურად დაწერონ კვირაში დაახლოებით რა რაოდენობით პლასტმასს მოიხმარენ. მაგალითად: 2 ბოთლი, 3 ჭიქა და ა.შ. მასწავლებელი აჯამებს მონაცემებს და აცნობს მოსწავლეებს, რის შემდეგაც სთხოვს დაფიქრდნენ, როგორ შეუძლიათ მიღებული მონაცემების შეცვლა.

აქტივობა
მოსწავლეები ეცნობიან საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ვებგვერდზე არსებულ ინფორმაციას და ამზადებენ პრეზენტაციას საქართველოში ნარჩენების მართვის არსებული მდგომარეობის შესახებ.

აქტივობა
მოსწავლეები ეცნობიან ვიდეოს შეამცირე ნარჩენი, რომლის საფუძველზე ინდივიდუალურად ამზადებენ სლოგანს/პოსტერს. დავალების მიზანია ემოციურად იმოქმედოს მნახველზე, დააფიქროს ნარჩენების შემცირების აუცილებლობაზე და შემცირების შესაძლო გზებზე.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ნახონ ფილმი უგუნურთა ერა (The Age Of Stupid 2009), რომელშიც აღწერილია ადამიანის საქმიანობის მავნე გავლენა გარემოზე და თვით ადამიანებზე, როგორც ამ გარემოს განუყოფელ ნაწილზე. აკვარიუმის მეთოდის გამოყენებით იმართება დისკუსია/დებატები საორიენტაციო თემაზე: სამყაროს განვითარება/გარემოს განადგურება. დისკუსიის/დებატებისას შესაძლოა მოსწავლეებს სხვადასხვა როლის შესრულება ვთხოვოთ, მაგ., გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი, ადგილობრივი თემის წარმომადგენელი და ა.შ.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაეცნონ ხანის აკადემიის ვებგვერდზე წარმოდგენილ რესურსს რა არის ეკოსისტემა? იმსჯელონ ეკოსისტემის განუყოფელი ნაწილის – ადამიანის, როგორც გამანადგურებელ, ასევე მზრუნველ როლებზე და ამ როლებს შორის წონასწორობის დაცვის აუცილებლობაზე და წონასწორობის ხელშემწყობ პირობებზე.

აქტივობა

მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ და გრეტა ტუნბერგის სიტყვას, რომელიც გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ დაგეგმილ სამიტზე წარმოთქვა. მასწავლებელი სთხოვს გააანალიზონ, რა ნაბიჯები გადაიდგა მას შემდეგ, რაც 2015 წელს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ახალ დოკუმენტზე – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ და როგორ შეგვიძლია თითოეულ ჩვენგანს „მოპარული ოცნებებისა და ბავშვობის დაბრუნებაში“ საკუთარი წვლილის შეტანა.

აქტივობა

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ორ რესურსს სათბურის ეფექტის შესახებ: კლიმატის ცვლილება და სათბურის ეფექტი და სთხოვს სასურველი ფორმატით (პოსტერი, ვიდეო, ფოტო, ნახატი, აუდიო და ა.შ.) მოამზადონ რჩევები სათბურის ეფექტის შესამცირებლად. წინასწარი დათქმის საფუძველზე ანონიმური კენჭისყრით გამოვლენილი გამარჯვებული დაჯილდოვდება .

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები – 1 საათი:

3–4 მოსწავლისგან დაკომპლექტებულ ჯგუფს ვთავაზობთ შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ერთ–ერთს:

1. მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ეძლევა დავალება, შეადგინოს კითხვარი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. კითხვარი უნდა ეხებოდეს შემდეგ თემატიკას: კლიმატის ცვლილებისა და გლობალური დათბობის არსი; კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზები; კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები და ზიანი; კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან ბრძოლა და მათი პრევენცია; მოქალაქის როლი კლიმატის ცვლილების შემცირებაში.

კითხვარების შედგენის, დამუშავების და შემოწმების შემდეგ, მოსწავლეები ჩაატარებენ გამოკითხვას სკოლის თემში და დაადგენენ სკოლის საზოგადოების ცნობიერების დონეს კლიმატის ცვლილების საკითხებთან მიმართებაში.

ინტერვიუს შედეგები შეჯამდება კლასში და მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად გამოკვეთენ იმ საკითხებს, რომელთა მიმართაც სკოლის თემი საჭიროებს მეტ ინფორმირებას.

ინტერვიუს შედეგების შესაბამისად ჯგუფები ამზადებენ პრეზენტაციას/კონფერენციას/საინფორმაციო ბუკლეტებს ზემოხსენებულ თემატიკაზე: კლიმატის ცვლილების და გლობალური დათბობის არსი; კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზები; კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები და ზიანი; კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან ბრძოლა და მათი პრევენცია; მოქალაქის როლი კლიმატის ცვლილების შემცირებაში. (ინტერვიუს შედეგების ან და სკოლის საჭიროებების შესაბამისად, შესაძლებელია აღნიშნული თემების შეცვლა ან/და მოდიფიცირება).

თავიანთი პრეზენტაციის ფარგლებში მათ უნდა წარმოადგინონ:

- სტატისტიკური მონაცემები;
- ძირითადი მიგნებები და ტენდენციები, რაც კვლევის შედეგად გამოვლინდა;
- დასკვნა
- რეკომენდაციები

მოსწავლეები შეფასდებიან წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

კრიტერიუმები	0	1	2

პროექტის სტრუქტურა	პროექტის სტრუქტურა დარღვეულია, აკლია ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა, არ არის დაწერილი აკადემიური ენით.	პროექტი კარგად არის სტრუქტურირებული, ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა დაცულია, თუმცა არ არის აკადემიური ენით დაწერილი.	პროექტის გეგმა სანიმუშოდაა სტრუქტურირებული, დაცულია ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა, დაწერილია აკადემიური ენით.
ვიზუალური მასალა	არ იყენებს თვალსაჩინოებას	იყენებს თვალსაჩინოებას თუმცა, არ ხსნის მის კავშირს მიწოდებულ ინფორმაციასთან.	იყენებს თვალსაჩინოებას, რაც აუდიტორიას მიწოდებული ინფორმაციის ვიზუალიზაციაში ეხმარება.
აუდიტორიის ფლობა	არაა სათანადოდ მომზადებული, ვერ საუბრობს თავდაჯერებულად, ვერ ამყარებს თვალით კონტაქტს აუდიტორიასთან	მომზადებულია, თუმცა, ნაწილობრივ ამყარებს თვალით კონტაქტს აუდიტორიასთან, ან/და არ არის თავდაჯერებული	მომზადებულია სათანადოდ, არის თავდაჯერებული, ამყარებს თვალით კონტაქტს აუდიტორიასთან.
არგუმენტირებული მსჯელობა	ვერ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, ვერ მოჰყავს არგუმენტები.	აფიქსირებს თავის პოზიციას, ვერ მოჰყავს არგუმენტები.	აფიქსირებს თავის პოზიციას არგუმენტირებულად.
დროის ლიმიტი	ვერ ეტევა მისთვის განკუთვნილ დროში.	განკუთვნილ დროში ეტევა, თუმცა პრეზენტაციას ძალიან მალე ასრულებს.	მომხსენებელი ეტევა მისთვის განკუთვნილ დროში.

[კითხვარის შედგენის მეთოდიკა]

2. მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ეძლევა დავალება, შეადგინოს კითხვარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. კითხვარი უნდა ეხებოდეს შემდეგ თემატიკას: ნარჩენების მართვის პრინციპები; ნარჩენების მართვის ზოგადი მოთხოვნები; ნარჩენების კლასიფიკაცია; საქართველოს სამართლებრივი მიდგომები ნარჩენებთან მიმართებაში (მოთხოვნები,

აკრძალვები, სანქციები); არსებული რეალობა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით; პირადი გამოცდილება.
კითხვარების შედგენის, დამუშავების და შემოწმების შემდეგ, მოსწავლეები ინტერვიუს სახით გამოკითხავენ სკოლის საზოგადოებასა და თემს, დაადგენენ სკოლის საზოგადოების ცნობიერების დონეს კლიმატის ცვლილების საკითხებთან მიმართებაში.
ინტერვიუს შედეგები შეჯამდება კლასში და მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად გამოკვეთენ იმ საკითხებს, რომელთა მიმართაც სკოლის თემი საჭიროებს მეტ ინფორმირებას.
ინტერვიუს შედეგების შესაბამისად ჯგუფები ამზადებენ პრეზენტაციას/კონფერენციას/საინფორმაციო ბუკლეტებს ასევე შემდეგ თემატიკაზე: ნარჩენების მართვის პრინციპები; ნარჩენების მართვის ზოგადი მოთხოვნები; ნარჩენების კლასიფიკაცია; საქართველოს სამართლებრივი მიდგომები ნარჩენებთან მიმართებაში (მოთხოვნები, აკრძალვები, სანქციები); არსებული რეალობა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით; (ინტერვიუს შედეგების ან და სკოლის საჭიროებების შესაბამისად, შესაძლებელია აღნიშნული თემების შეცვლა ან და მოდიფიცირება).
აღნიშნული დავალების შესრულების წინ, სასურველია მასწავლებელმა და მოსწავლეებმა დაამუშავონ საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მე-3, მე-5, მე-7, 31-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე, 36-ე მუხლები.

3. მოსწავლეები ნახავენ ვიდეო-რგოლს სახელწოდებით Act On Co2 Bedtime Story. მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის კითხვებს, თუ როგორ წარმოუდგენიათ მათ ამ ამბის დასასრული, რა შეგვიძლია გავაკეთოთ თითოეულმა ჩვენგანმა ამბის ბედნიერი დასასრულისთვის. განხილვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დაიყონ ჯგუფებად, მოიფიქრონ სცენარი და გადაიღონ საგანმანათლებლო ვიდეორგოლი კლიმატის ცვლილებების შესახებ.

4. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს რამდენიმე რესურსს გლობალური დათბობის შესახებ (მაგ.: გლობალური დათბობა - გიორგი კაკაბაძის სიუჟეტი; Global Warming 101 | National Geographic; Leonardo DiCaprio (UN Messenger of Peace) at the opening of Climate Summit 2014 და სხვ.) და სთხოვს სასურველი ფორმატით (ვიდეომიმართვა, აუდიომიმართვა, ფოტოკოლაჟი, ტექსტი და ა.შ.) მოამზადონ პრეზენტაცია „წერილი შვილიშვილებს“. პრეზენტაციაში ასახული უნდა იყოს: გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული მოსაზრება/დამოკიდებულება ინდივიდის დონეზე, გადადგმული ინდივიდუალური ნაბიჯები, სამომავლო რჩევები.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად არჩევს კომპლექსურ დავალებას, განსაზღვრავს მის მიზნების, შესრულებისთვის განკუთვნილ დროს და შეფასების რუბრიკებს.

2. საკითხი – მწვანეთა მოძრაობა – 4 საათი;

საკითხის მიზნები: მოსწავლეები: გააცნობიერებენ მწვანეთა მოძრაობის არსს და მიზნებს, იმსჯელებენ გარემოს დაცვის საკითხებზე

მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობების მნიშვნელობაზე მდგრადი განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების საკითხებში; გაიგებენ, რას ნიშნავს მწვანე აქტივიზმი და გააცნობიერებენ საკუთარ წვლილს ეკოსისტემის შენარჩუნებასა და დაცვაში.

<u>საკვანძო შეკითხვები:</u>

- რა არის მწვანეთა მოძრაობა? რა არის ამ მოძრაობის მიზანი? რის წინააღმდეგ იბრძვის მწვანეთა მოძრაობა? რა გამოწვევების წინაშე დგას მწვანეთა მოძრაობა?
- გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე რომელი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები იცით?
- რისთვის არსებობს გარემოსდაცვითი ორგანიზაციები? რა საკითხებზე მუშაობენ ისინი?
- როგორ გესმით „მწვანე აქტივიზმი?“ რა კონკრეტულ ქმედებებს შეიძლება მოიაზრებდეს ის?
- რას ნიშნავს მდგრადი განვითარება? გარემოსა და რესურსების მდგრადი გამოყენება?
- რატომ არის საჭირო ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება? რა მოხდება წინააღმდეგ შემთხვევაში?
- რა კავშირშია ტყეების დაცვა ჩვენს ჯანმრთელობასთან?

<u>თემატური ცნებები:</u>

- მწვანეთა მოძრაობა
- მწვანე აქტივიზმი
- გარემოს დაცვა
- რესურსების მდგრადი გამოყენება

აქტივობა

მასწავლებელი უზიარებს მოსწავლეებს რესურსებს ფუტკრების წინაშე არსებული საფრთხეების შესახებ:
[Bees are going extinct…but not the ones you think](); [Could the extinction of bees be the end for humanity? 60 Minutes Australia]() სადაც ჩანს ადამიანის საქმიანობის შედეგები ეკოსისტემის ცვლილებაზე. ვიდეოს ნახვის შემდეგ მოსწავლეები იმსჯელებენ შემდეგ საორიენტაციო საკითხებზე:

- რა კონკრეტული პრობლემების წინაშე დგას დღეს დედამიწა? რა არის ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები?
- როგორ შეიძლება შევაჩეროთ ან/და გადავჭრათ ეს პრობლემები? რა როლი აქვს გარემოსდაცვით ორგანიზაციებს ეკოსისტემის დაცვის და შენარჩუნების საქმეში?
- რატომ არის საჭირო მწვანე აქტივიზმი?

აქტივობა

მოსწავლეები ნახავენ ანიმაციურ ვიდეოს სახელწოდებით არ დაწვა ფოთოლი! და გაზეთ „ბოლნისის“ სიუჟეტს სახელწოდებით ფოთლების დაწვა ჯარიმდება. მასწავლებელი სთხოვს დაფიქრდნენ, თუ რამდენად ნაცნობია ეს პრობლემა მათთვის და როგორ შეუძლიათ აამაღლონ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე. აქტივობის დროს გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა გადაიქცეს პროექტად.

აქტივობა

მოსწავლეები ნახავენ ვიდეო-რგოლს სახელწოდებით Satellite shows extent of terrible destruction to the planet - BBC, ვიდეოში ნაჩვენები ტყეების გაჩეხვის კადრები სატელიტიდან არის გადაღებული რაც მოსწავლეებს დაეხმარება უკეთ გაიაზრონ ტყეების გაჩეხვის მასშტაბები. მოსწავლეები ასევენ უყურებენ ვიდეოებს სახელწოდებით CNN Explains: Deforestation Climate 101: Deforestation | National Geographic სადაც ასახულია გაუდაბნოების (დეფორესტაციის) მიზეზები, ტყეების როლი სათბურის აირებთან გამკლავებაში და გაუდაბნოების შედეგები. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს იმსჯელონ რის გაკეთება არის აუცილებელი ამ სიტუაციის გამოსასწორებლად, რის გაკეთება მართებთ ინდივიდებს, თემებსა, თუ სახელმწიფოებს.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ჟან ჟიონოს მოთხრობის კაცი, რომელიც ხეებს რგავდა ქართული თარგმანის წაკითხვას და ამავე მოთხრობის მიხედვით გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ანიმაციის ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა ნახვას. შემდეგ მასწავლებელი აცნობს ვიდეოს VOICE OF TREES - The story of a man who planted a forest documentary film india, სადაც მოთხრობილია რეალური ისტორია. მოსწავლეები რწმუნდებიან, რომ ერთ კაცსაც შეუძლია მასშტაბური ცვლილებების მოხდენა.

იმართება მსჯელობა ცალკეული ადამიანის სასიკეთო გავლენის შესახებ გარემოს წონასწორობის შესანარჩუნებლად. ამ წონასწორობისთვის გადადგმულ ნაბიჯებზე სხვადასხვა დონეებზე: ინდივიდის, საზოგადოების/თემის, სახელმწიფოს.

აქტივობა

მოსწავლეები ნახავენ ვიდეოებს სახელწოდებით Why Elephants May Go Extinct in Your Lifetime | National Geographic და The Last Animals Official Trailer და წაიკითხავენ სტატიებს სახელწოდებით უკანასკნელი ინდივიდისგან ნასწავლი გაკვეთილი და პანდა გადაშენების პირას მყოფი სახეობების სიიდან ამოიღეს მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს იმსჯელონ, რის გაკეთება არის აუცილებელი გადაშენების პირას მყოფი ცხოველების გადასარჩენად? რის გაკეთება მართებთ ინდივიდებს, თემებსა, თუ სახელმწიფოებს.

აქტივობა

მოსწავლეები წაიკითხავენ სტატიას სახელწოდებით გადავარჩინოთ ბზა და უყურებენ ვიდეოს სახელწოდებით კოლხური ბზა და ერთი მოსწავლის ინიციატივა მოსწავლეები იმსჯელებენ როგორ შეუძლიათ თავად წვლილი შეიტანონ ბზის გადარჩენაში. გამოთქმული აზრები შესაძლოა განხორციელდეს პროექტის სახით

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად და ტერმინის „მწვანე აქტივიზმის“ ახსნამდე ავალებს მოამზადონ ნახატები თემაზე: - „რა არის მწვანე აქტივიზმი?“ მოსწავლეები ერთმანეთს აცნობენ თავიანთ ნახატებს და ხსნიან მათ მნიშვნელობას. ამის შემდეგ მასწავლებელი აკეთებს მინი-პრეზენტაციას მწვანე აქტივიზმის შესახებ, უხსნის მოსწავლეებს მის არსს, მნიშვნელობასა და როლს გარემოს დაცვისა და შენარჩუნების საქმეში.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, წარმოიდგინონ, რომ იმყოფებიან გარემოსდაცვით აქციაზე. აქციის მონაწილეები აპროტესტებენ ქალაქში/სოფელში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, გაჩეხოს ტყე და მის ადგილას ააშენოს პლასტმასის გადამამუშავებელი ქარხანა. მოსწავლეების მიზანია, როგორც აქციის მონაწილეებმა, ჯგუფებში მოამზადონ ბანერები/პოსტერები/სლოგანები (მაგ.: „ტყე შეუნახე შვილებსა!“ „არ გაჩეხო, დარგე!“ „გვჭირდება სუფთა ჰაერი!“ „იფიქრე ხვალინდელ დღეზე“ და ა.შ.), რომელიც ემოციურად იმოქმედებს მნახველზე და დააფიქრებს გადაწყვეტილების სისწორეზე. ნამუშევრები გააცნონ თანაკლასელებს და ისაუბრონ საკუთარ პოზიციაზე – რატომ მონაწილეობენ აქციაში და რას ემსახურება მათ მიერ მომზადებული პოსტერი.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს მეოცე საუკუნის თბილისის ფოტოებს. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად განიხილავს სტატიას თბილისის მწვანე საფარის მდგომარეობის შესახებ. კლასში იმართება დისკუსია/დებატები თემაზე: ,,ურბანიზაცია და მრავალფეროვანი, ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება“. განსახილველი თემატიკა შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა საქართველოში ურბანიზაციით გამოწვეული გარემოს დაბინძურების, მწვანე საფარის შემცირების, ეკოსისტემის დაზიანების პრობლემატიკა; სამოქალაქო აქტივიზმის როლი ჯანსაღი გარემოსა და მწვანე საფარის შენარჩუნებაში; თითოეული მოქალაქის და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის, ურბანიზაციის და მწვანე საფარის შენარჩუნების საკითხებში.

აქტივობა

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს გაეცნონ ჟან ბოდრიარის სტატიას ქალაქი და სიძულვილი, სადაც აღწერილია მეგაპოლისებში ცხოვრების ადამიანური სირთულეები, მათი გამომწვევი მიზეზები. სთხოვს სასურველი ფორმატით მოამზადონ საკუთარი მოსაზრება გარემოსა და ურბანიზაციას შორის წონასწორობის შენარჩუნების შესახებ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს რუკას ნარჩენების დახარისხების კუთხეები საქართველოში სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით მოსწავლეები ირჩევენ შესაბამის კუთხეს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელისთვის ამზადებენ წერილს თხოვნით უზრუნველყოს მათ დასახლებაში ნარჩენების დასახარისხებელი კონტეინერების დადგმა და დაგროვებული ნარჩენების პერიოდული მიტანა შესაბამის კუთხემდე.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს სურვილის მიხედვით დაინაწილონ და გაეცნონ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ნაშრომს ნარჩენების მართვა ევროკავშირის ქვეყნებში. საკუთარი თემისთვის მოამზადონ პრეზენტაციები ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციებით.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები – 1 საათი:

3–4 მოსწავლისგან დაკომპლექტებულ ჯგუფს ვთავაზობთ შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ერთ–ერთს:

1. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს პროექტს ,,შექმენი ახალი ნივთი მეორადი ნივთებისგან". მოსწავლეებმა უნდა შექმნან თავიანთი გემოვნების და იდეების შესაბამისად ნივთები, რომელთა დასამზადებლად გამოიყენებენ მეორად ნივთებს. ნივთების პრეზენტაცია გადამუშავების პოპულარიზაციის მიზნით, შესაძლოა მოეწყოს როგორც კლასში, ისე სკოლის თემის წინაშე. ასევე, შესაძლოა მოსწავლეებმა მოაწყონ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა/გაცვლა სკოლის თემში.

2. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაეცნონ კომპოსტის მომზადების შესახებ ინფორმაციას (შესაძლებელია სხვა წყაროების გამოყენებაც: http://rec-caucasus.org/storage/uploads/files/1557339867.pdf https://agrokavkaz.ge/fermerta-skola/organuli-meurneoba-komposti-misi-damzadeba-da-gamoqheneba.html
და სხვ.). მასზე დაყრდნობით მოამზადონ პრეზენტაცია ადგილობრივი თემისთვის, რომლის საშუალებით ეცდებიან თანამოაზრეების დაინტერესებას და შეძლებენ თემში საკომპოსტე ყუთის გაკეთებასა და დადგმას.

3. **აქტივობა**

მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს ინფორმაციას (მინი-პრეზენტაციის სახით) მწვანეთა მოძრაობის შესახებ, ისაუბრებს ამ მოძრაობის დაარსების ისტორიაზე, მისიაზე, მიზნებსა და როლზე გარემოს დაცვისა და შენარჩუნების საქმეში. ამ კონკრეტული ორგანიზაციისა და მისი საქმიანობის გაცნობის შემდეგ, მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად. მათი მიზანია:

- შექმნან მინი-გარემოსდაცვითი ორგანიზაცია;
- დაარქვან ამ ორგანიზაციას სახელი და მოუფიქრონ ლოგო;
- აირჩიონ ერთი (ან მეტი) გარემოსდაცვითი საკითხი/პრობლემა მათ ირგვლივ (სოფელში, ქალაქში, თემში) და მათ, როგორც ორგანიზაციის წევრებმა, შეიმუშაონ ამ პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზები (აღწერონ პრობლემის არსი, ვის აწუხებს ეს პრობლემა, როგორ შეიძლება გადაიჭრას მათი თანამონაწილეობით, ვინ შეიძლება ჩაერთოს პრობლემის მოგვარებაში და ა.შ.);
- განახორციელონ კონკრეტული ქმედება ამ პრობლემის მოგვარების მიმართულებით (მაგ.: დარგონ ნარგავები, დაასუფთაონ ტერიტორია, შექმნან საკომპოსტე ყუთი, მისწერონ წერილი ადგილობრივ თვითმმართველობას ნარჩენების სეპარაციისთვის კონტეინერების დადგმის თაობაზე და ა.შ.);
- მოამზადონ პრეზენტაცია (მაგ.: გადაიღონ ვიდეო) და გააცნონ თანაკლასელებს.

4. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს დაწერონ ესსე/ჩანახატი/მოთხრობა ან შექმნან კომიქსი/ილუსტრაცია/პლაკატი სათაურით ,,ხეები რომ wifi-ს გამოიმუშავებდნენ..“. მოსწავლეები თავიანთ ნამუშევრებს წარუდგენენ კლასს. შესაძლებელია ამავე თემატიკაზე შექმნილი ნაშრომების სასკოლო გამოფენის მოწყობაც.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად არჩევს კომპლექსურ დავალებას, განსაზღვრავს მის მიზნების, შესრულებისთვის განკუთვნილ დროს და შეფასების რუბრიკებს.

3. საკითხი – ენერგიის ალტერნატიული წყაროები – 4 საათი;

საკითხის მიზნები: მოსწავლეები გაეცნობიან ინფორმაციას ენერგიის ალტერნატიული წყაროების შესახებ, იმსჯელებენ იმ სარგებელსა და უპირატესობებზე, რაც ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს აქვს ენერგიის ტრადიციულ წყაროებთან შედარებით; გააცნობიერებენ, რომ ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენება ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების წინაპირობაა, ხოლო ენერგოეფექტურობა - განვითარებული საზოგადოების ნიშანია. იმსჯელებენ მწვანე ეკონომიკის მნიშვნელობაზე ქვეყნის განვითარებისა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებაში.

საკვანძო შეკითხვები:

- ენერგიის რომელ ტრადიციულ წყაროებს იცნობთ? რა დადებითი/უარყოფითი შედეგი მოყვება ამ წყაროების გამოყენებას? რა ზიანს აყენებს ენერგიის ტრადიციული წყაროების გამოყენება გარემოს?
- როგორ გესმით ტერმინი- „განახლებადი ენერგიის წყარო?“ რატომ გვჭირდება განახლებადი ენერგია? რას ნიშნავს ენერგიის ალტერნატიული წყარო? ენერგიის რომელ ალტერნატიულ წყაროებს დაასახელებდით? რა უპირატესობები აქვს ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს ენერგიის ტრადიციულ წყაროებთან შედარებით? როგორ მოქმედებს ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენება გარემოზე?
- როგორ გესახებათ დედამიწის მომავალი თუ ადამიანები კვლავ ენერგიის ტრადიციული წყაროების გამოყენებას გააგრძელებენ?
- რას ნიშნავს მწვანე ეკონომიკა? რა კავშირშია მწვანე ეკონომიკა ეკოლოგიასთან? რომელია მწვანე ეკონომიკის ძირითადი მიმართულებები? რას უწყობს ხელს მწვანე ეკონომიკის განვითარება ქვეყანაში? რა როლი აქვს მწვანე ეკონომიკას ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებაში?

<u>**თემატური ცნებები:**</u>

- ენერგიის ალტერნატიული წყაროები
- ენერგიის ტრადიციული წყაროები
- განახლებადი ენერგიის წყაროები
- მწვანე ეკონომიკა
- უტილიზაცია
- ენერგოეფექტურობა

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს ურიგდება გ. კიკაძის სტატია - ენერგიის ალტერნატიული წყაროები. მოსწავლეების მიზანია, გაეცნონ სტატიას, შემდეგ კი მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეავსონ T დიაგრამა. დიაგრამის ერთ მხარეს მათ უნდა ჩამოწერონ ენერგიის ალტერნატიული წყაროების დადებითი შედეგები (სარგებელი და უპირატესობა, რაც მათ გამოყენებას მოყვება), ხოლო მეორე მხარეს - უარყოფითი შედეგები (მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში არაფერი წერია ენერგიის ალტერნატიული წყაროების უარყოფით მხარეებზე, მოსწავლეების მიზანია, კრიტიკულად შეხედონ საკითხს და დაფიქრდნენ იმ ნეგატიურ შედეგებზე, რაც შეიძლება მოყვეს ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებას). საბოლოოდ ჯგუფები ერთმანეთს უცვლიან იდეებს და მსჯელობენ რა უპირატესობა აქვს ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებას ენერგიის ტრადიციულ გამოყენებასთან შედარებით და რატომ.

აქტივობა

მოსწავლეები გაეცნობიან National Geographic-ს ვიდეოს Renewable Energy 101 რომელშიც ახსნილია განახლებადი ენერგიის სახეები და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მოსწავლეები იმსჯელებენ რატომ არის განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისება მნიშვნელოვანი და როგორ შეიძლება შემცირდეს მათი გამოყენების უარყოფითი მხარეები.

აქტივობა

მოსწავლეები გაეცნობიან ვიდეოს სახელწოდებით Can 100% renewable energy power the world? - Federico Rosei and Renzo Rosei რომელშიც განხილულია ის დაბრკოლებები რაც განახლებადი ენერგიის მასიურ მოხმარებას ახლავს თან. მოსწავლეები იმსჯელებენ, რატომ არის მნიშვნელოვანი, არსებული გამოწვევების მიუხედავად კაცობრიობამ განაგრძოს ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისების ეფექტური გზების მოძიება.

აქტივობა

„რა არის მწვანე ეკონომიკა?“ მასწავლებელი ატარებს მინი-ლექციას, თემაზე- მწვანე ეკონომიკა. ლექციის შემდეგ იმართება ფორუმი[2], რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად საორიენტაციო საკითხებს:

- ამოწურვადი რესურსების მომავალი;
- ენერგიის ალტერნატიული წყაროების მომავალი;
- რატომ ვირჩევთ „მწვანე ეკონომიკას“?

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაეცნონ ISO Consulting–ის ვებგვერდზე სიახლეების ფანჯარაში მოცემულ მცირე მოცულობის სტატიებს, რომლებიც მწვანე ეკონომიკის ძირითად მიმართულებებს აღწერს და მოამზადონ ჯგუფური პრეზენტაციები საორიენტაციო თემაზე „ადამიანის საქმიანობის ზნეობრივი საფუძვლები დედამიწაზე“. პრეზენტაციების გაზიარება შესაძლებელია მოხდეს სკოლის ან ადგილობრივი თემის დონეზე.

აქტივობა

[2] ფორუმი დისკუსიის ერთ–ერთი ფორმაა, როცა მცირე ჯგუფებს ჰყავთ ლიდერები, ჯგუფი საკითხს განიხილავს დამოუკიდებლად და წარუდგენს კლასს. ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს აზრის გამოთქმის უფლება.

მოსწავლეები ეცნობიან „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ვებგვერდზე მოცემულ ინფოგრაფიკებს და გარემოს დაცვის მიმართულებით სასურველ თემაზე ქმნიან საკუთარ ინფოგრაფიკას.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოიფიქრონ მათთვის საინტერესო კითხვა გარემოს დაცვასთან დაკავშირებით და „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ვებგვერდზე შესაბამისი ფანჯრის გამოყენებით გააგზავნონ. კლასში იმსჯელონ მიღებული პასუხის შესახებ.

აქტივობა

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ვებგვერდზე არსებული ფუნქციას შეტყობინებები კანონდარღვევის შესახებ სთხოვს იმსჯელონ გარემოსდაცვით სფეროში კანონდარღვევის შესახებ შეტყობინების გაგზავნის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის და ზნეობრიობის შესახებ.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაეცნონ ნაშრომს ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის წყაროები ნაშრომისა და სხვა რესურსების გამოყენებით მოსწავლეები ამზადებენ პრეზენტაციებს მათთვის საინტერესო საკითხზე და უზიარებენ ერთმანეთს.

აქტივობა

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ენერგოეფექტურობის ცენტრის ვებგვერდზე მოცემულ ენერგოკალკულატორებს მოსწავლეები ირჩევენ მათთვის სასურველ კალკულატორს, ატარებენ კალკულაციას და მიღებულ შედეგებს სურვილის შემთხვევაში უზიარებენ ერთმანეთს.

აქტივობა

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს შპს „ეკომედის“ ვებგვერდზე არსებულ ფანჯარას სერვისი და სთხოვს პრეზენტაციის მომზადებას სახელწოდებით „ნარჩენების უტილიზაცია“. პრეზენტაციაში სასურველია წარმოდგენილი იყოს შემდეგი საორიენტაციო მიმართულებები/საკითხები:

- გონივრული/რაციონალური მოხმარება და ნარჩენები;
- ნარჩენების კატეგორიები;
- ნარჩენი, როგორც რესურსი;

- ნარჩენების მართვა და გარემოს დაცვა.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაეცნონ არასამთავრობო ორგანიზაციის „კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის“ მიერ გამოცემულ გზამკვლევს ღონისძიებების ორგანიზება მინიმალური ნარჩენებით უახლოესი სასურველი ღონისძიება დაგეგმონ და განახორციელონ გზამკვლევში გამოყენებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. დასრულების შემდეგ იმსჯელონ იმის შესახებ, რამდენად შეძლეს ჩატარებულ ღონისძიებაში გარემოს დაცვაზე ზრუნვა.

აქტივობა

მოსწავლეები სახლში ნახავენ მხატვრულ ფილმს სახელწოდებით ბიჭი, რომელმაც ქარი მოათვინიერა. გაკვეთილზე კი გაიმართება მსჯელობა/დისკუსია შემდეგი საორიენტაციო კითხვების გამოყენებით:

რა იგულისხმება კლიმატის ცვლილებაში?

რა იწვევს კლიმატის ცვლილებას?

რა ზიანი გამოიწვია დღემდე კლიმატის ცვლილებამ და რა რისკებთანაა დაკავშირებული სამომავლოდ?

რა კავშირია ქვეყნის განვითარების დონეს და კლიმატის ცვლილების საფრთხეს შორის?

რატომ არის მნიშვნელოვანი ეკოსისტემის დაცვა?

როგორ შეიძლება წვლილი შევიტანოთ გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაში?

როგორ გესმით ტერმინი- „განახლებადი ენერგიის წყარო?“

რატომ გვჭირდება განახლებადი ენერგია?

რას ნიშნავს ენერგიის ალტერნატიული წყარო?

ენერგიის რომელ ალტერნატიულ წყაროებს დაასახელებდით?

რა უპირატესობები აქვს ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს ენერგიის ტრადიციულ წყაროებთან შედარებით?

როგორ მოქმედებს ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენება გარემოზე?

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები – 1 საათი:

მცირე ჯგუფებად დაყოფილ მოსწავლეებს ვთავაზობთ შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ერთ–ერთს:

1. ***კონფერენცია:*** მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მწვანე ეკონომიკის 6 ძირითადი მიმართულებას. მოსწავლეებმა ინდივიდუალურად ან წყვილებში უნდა წარმოადგინონ საკონფერენციო თემა (მოხსენება) მათ მიერ არჩეული ერთი ან მეტი

მიმართულების ფარგლებში. საკონფერენციო თემის დასათაურებაში მოსწავლე შეზღუდული არ არის, მთავარია, თემა პასუხობდეს ჩამოთვლილთაგან რომელიმე მიმართულებას.

საკონფერენციო თემაში უნდა ჩანდეს:

შესავალი:

ა) რამდენად აქტუალურია მოსწავლის მიერ წარმოდგენილი საკითხი და რამდენად პასუხობს დავალების პირობას (საკითხის აქტუალობა და საკითხის შინაარსობრივი შესაბამისობა რომელიმე მიმართულებასთან);

ძირითადი ნაწილი:

ბ) ინფორმაცია საკითხზე/არგუმენტები კონკრეტული მაგალითებით (მაგ.: მოსწავლე თუ წერს სუფთა ტრანსპორტზე, მას შეუძლია მოიყვანოს კონკრეტული ქვეყნის მაგალითი, სადაც განვითარებულია ელექტრო სატრანსპორტო საშუალებათა სისტემა);

გ) მოსწავლის მსჯელობა (ნაშრომში უნდა ჩანდეს მოსწავლის მსჯელობა და დასკვნები. მაგ.: მოსწავლე თუ წერს სუფთა ტრანსპორტზე და მოჰყავს კონკრეტული ქვეყნის მაგალითი, სადაც განვითარებულია ელექტრო სატრანსპორტო საშუალებათა სისტემა, აქვე უნდა ჩანდეს მისი მსჯელობა, რამდენად ეფექტურად მიიჩნევს ამ სისტემას, რატომ? რა სარგებელი ან უპირატესობა აქვს ამ ტიპის სისტემას გარემოსთვის? რატომ? და ა.შ)

დასკვნა:

დ) დასკვნა (მის მიერ განხილული ინფორმაციის საფუძველზე, მოსწავლემ უნდა გამოიტანოს საბოლოო დასკვნები, შეუძლია შეიმუშავოს რეკომენდაციები და სხვ.).

საკონფერენციო თემების მიმართულებები:

1. განახლებადი ენერგია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის, ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერგია);
2. მწვანე შენობები (ენერგიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები);
3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები);
4. წყლის მენეჯმენტი (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);
5. ნარჩენების მართვა (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი, მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა);
6. მიწის მართვა (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება).

შეფასდება როგორც მოხსენების სტრუქტურა, ასევე, მოსწავლის პრეზენტაციის უნარები.

შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	0	1	2
თემის სტრუქტურა	თემის სტრუქტურა დარღვეულია, აკლია: ა) შესავალი და დასკვნა; ან ბ) შესავალი და ძირითადი ნაწილი; ან გ) ძირითადი ნაწილი და დასკვნა; არ არის დაწერილი აკადემიური ენით.	თემის სტრუქტურა დარღვეულია, აკლია შესავალი დასკვნა ან ძირითადი ნაწილი. დაწერილია აკადემიური ენით.	თემა სანიმუშოდაა სტრუქტურირებული, დაცულია ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა, დაწერილია აკადემიური ენით.
თემის შინაარსი	თემის შინაარსი არ პასუხობს დავალების პირობას;	თემის შინაარსი ნაწილობრივ პასუხობს დავალების პირობას;	თემის შინაარსი სრულიად პასუხობს დავალების პირობას
აუდიტორიის ფლობა	მომხსენებელი ვერ ფლობს აუდიტორიას: არაა სათანადოდ მომზადებული, ვერ საუბრობს თავდაჯერებულად, ვერ ამყარებს თვალით კონტაქტს აუდიტორიასთან	მომხსენებელი სრულიად ვერ ფლობს აუდიტორიას: მომზადებულია, თუმცა, ნაწილობრივ ამყარებს თვალით კონტაქტს აუდიტორიასთან, ან/და არ არის თავდაჯერებული	მომხსენებელი სრულიად ფლობს აუდიტორიას: მომზადებულია სათანადოდ, არის თავდაჯერებული, ამყარებს თვალით კონტაქტს აუდიტორიასთან.
არგუმენტირებულ მსჯელობა	მომხსენებელი ვერ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, ვერ მოჰყავს არგუმენტები.	მომხსენებელი აფიქსირებს თავის პოზიციას, თუმცა, ვერ მოჰყავს არგუმენტები.	მომხსენებელი აფიქსირებს თავის პოზიციას არგუმენტირებულად.
დროის ლიმიტი	მომხსენებელი ვერ ეტევა განკუთვნილ დროში.	მომხსენებელი ეტევა განკუთვნილ დროში, თუმცა, პრეზენტაციას ძალიან მალე ასრულებს.	მომხსენებელი ეტევა განკუთვნილ დროში.

2. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ადგენენ კითხვარს, რომლის მიზანია შეისწავლონ საკუთარ თემში მოხმარების ძირითადი ტენდენციები. სასურველია, კითხვარში იყოს ისეთი კითხვები, რომელიც რესპონდენტებს დააფიქრებს „მჭირდებასა“ და „მინდას“ შორის განსხვავებაზე, მოხმარების პრიორიტეტებზე, გონივრულ მოხმარებაზე და ა.შ. მოსწავლეები ატარებენ გამოკითხვას თემში,

აანალიზებენ შედეგებს, ამზადებენ პრეზენტაციას, რომელსაც უზიარებენ თემს (შესაძლებელია, შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიქმნას სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (პოსტერი, ინფოგრაფიკა, კომიკსი, ბუკლეტი და ა.შ.) იმ მიზნით, რომ დააფიქრონ გონივრული მოხმარების აუცილებლობაზე.

3. მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ მწვანე ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ნარჩენების მართვა (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი, მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა); მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად. მათი მიზანია:

ა) შეიმუშავონ და ჩამოწერონ პრაქტიკული რჩევები

- როგორ შევამციროთ ნარჩენები: ა) ოჯახში; ბ) მაღაზიაში; გ) სამუშაოზე.

ბ) ჩამოწერონ იდეები ნარჩენების შენარჩუნებისა და ხელახალი გამოყენებისთვის;

გ) გააცნონ თავიანთი ნამუშევარი თანაკლასელებს;

დ) საბოლოოდ კლასი შეავსებს იდეებს და შეიმუშავებს საერთო საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტს, სადაც იქნება მოცემული პრაქტიკული რჩევები ნარჩენების შემცირება-შენარჩუნებისა და ხელახალი გამოყენების მიმართულებით.

ე) ბუკლეტები შეიძლება დაიბეჭდოს და დარიგდეს სკოლის ან ადგილობრივ თემში.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად არჩევს კომპლექსურ დავალებას, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროს და შეფასების რუბრიკებს.

4. საკითხი – იუნესკო – 4 საათი

<u>**საკითხის მიზნები:**</u> მოსწავლეები გაეცნობიან იუნესკოს შექმნის ისტორიას, მისი საქმიანობის სფეროს, მიზნებს, მისიასა და პრინციპებს; იუნესკოს მიერ მიღებულ ძირითად მნიშვნელოვან დოკუმენტებს; მიიღებენ ინფორმაციას საქართველო-იუნესკოს ურთიერთობებისა და საერთო გამოცდილებების შესახებ; იმსჯელებენ საქართველოსა და იუნესკოს თანამშრომლობის მნიშვნელობაზე; კონკრეტული მაგალითების საფუძველზე გააცნობიერებენ იუნესკოს როლს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სფეროში.

<u>**საკვანძო შეკითხვები:**</u>

- რა არის იუნესკო? რა არის მისი მისია? რა იყო იუნესკოს შექმნის მიზანი?
- როდის გახდა საქართველო იუნესკოს სრულუფლებიანი წევრი? რომელი ძეგლებითაა წარმოდგენილი საქართველო იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში?
- რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის იუნესკოსთან ურთიერთობასა და თანამშრომლობას?
- როგორ ეხმარება იუნესკო მის წევრ ქვეყნებს განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში თუ კულტურული მემკვიდრეობის

გავრცელება-შენარჩუნებაში?

- რატომ არის აუცილებელი ვიზრუნოთ ჩვენი ისტორიული გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე?
- როგორ შეიძლება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე ზრუნვა? რა კონკრეტულ ქმედით ნაბიჯებს მოიაზრებს მატერიალური თუ არამატერიალური ძეგლების შენარჩუნებასა და დაცვაზე ზრუნვა?
- როგორ შეიძლება მოვახდინოთ ჩვენი კულტურისა და მეცნიერების პოპულარიზაცია? შეუწყობს თუ არა ეს პროცესი ხელს ქვეყნის განვითარებას? რატომ?

<u>თემატური ცნებები:</u>

იუნესკო
კულტურული მემკვიდრეობა
კულტურული ფასეულობა
მატერიალური და არამატერიალური ძეგლები
მსოფლიო მემკვიდრეობა
პოპულარიზაცია

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს იმუშაონ მცირე ჯგუფებში. გაეცნონ ვებგვერდს https://unesco.ge/ და მოამზადონ პრეზენტაციები იუნესკოს მისიის, მიზნებისა და საქმიანობის შესახებ. შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდის გამოყენებით მცირე ჯგუფები ატარებენ გაკვეთილს.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ანიმაციურ ფილმს - World Heritage-Patrimonito-10th Episode-Lebanon http://whc.unesco.org/en/patrimonito/, რომელიც ეხება ბავშვთა ჩართულობას მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და შენარჩუნების მიმართულებით. ანიმაციის ყურების შემდეგ იმართება დისკუსია თემაზე: „როგორ უზრუნველვყოთ ჩვენი ჩართულობით მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და შენარჩუნება?“

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს იდეას, მოამზადონ პრეზენტაცია, თემაზე: „აღმოაჩინე უცნობი საქართველო“.

- მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად;

- მოსწავლეების მიზანია, ჯგუფებში შეთანხმდნენ და შეარჩიონ ერთი (ან მეტი) უცნობი ისტორიული მატერიალური თუ არამატერიალური ძეგლი (ეს შეიძლება იყოს მათ სოფელში/ქალაქში მდებარე მივიწყებული/დანგრეული ეკლესია, ნასახლარი, კოშკი, ხელნაწერი, ნივთი, ცეკვა, სიმღერა, ტრადიცია, რელიგიური რიტუალი, ხელოსნობის განსაკუთრებული წესი და ა.შ.);
- მოიძიონ საინტერესო (ისტორიული) ცნობები და ფაქტები ამ ძეგლის (ძეგლების) შესახებ (შერჩეული ძეგლის ისტორიული, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ფასეულობების აღწერა და დახასიათება);
- დაგეგმონ და განახორციელონ ამ ძეგლის/ებს პოპულარიზაცია თანაკლასელებში სასურველი ფორმით.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას, რომ ბევრი ქვეყნისთვის ტურიზმი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა. კულტურულ მემკვიდრეობას არსებითი როლი აკისრია ტურიზმის განვითარებაში და ორივე ერთმანეთზეა დამოკიდებული. მემკვიდრეობის ძეგლების მონახულება, დღესაც ერთ-ერთი წამყვანი მოტივაციაა მოგზაურთათვის. ტურისტებს განსაკუთრებით იზიდავს არქეოლოგიური ძეგლები, რაც ერთნაირად შემოსავლიანია ინვესტორებისა თუ ადგილობრივი მოსახლეობისთვის. თუმცა, გარდა სარგებლისა, ტურიზმს შესაძლოა თანმდევი საფრთხეებიც ჰქონდეს. იმართება დისკუსია თემაზე: „ტურიზმით მიღებული სარგებელი და შესაძლო საფრთხეები“.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, მოამზადონ სიუჟეტი (ფოტომასალა/აუდიო/ვიდეო ჩანაწერი) პირობითი სათაურით „გააცოცხლე ისტორია!“ იმ ადამიანებთან, რომლებიც „ისტორიებს ინახავენ“-მოსწავლეებს შეუძლიათ გაესაუბრონ/აიღონ ინტერვიუ თავიანთ ბებიებთან, ბაბუებთან ან სხვა ხანდაზმულ ადამიანებთან და სთხოვონ მათ ისეთი ძველი ისტორიის, წესის, ტრადიციის, რიტუალის, ცერემონიის და ა.შ. გახსენება, რომელიც ძველად პოპულარული იყო (რომელსაც თვითონ მოესწრნენ, ან/და გადმოცემით იციან) და რომელიც ახლა მივიწყებულია/აღარ არსებობს.

მოსწავლეები ერთმანეთს გააცნობენ თავიანთ ნამუშევრებს და იმსჯელებენ იმ შესაძლო მიზეზებზე, რომლებმაც ამა თუ იმ ტრადიციის დაკარგვა, მივიწყება ან/და არსებობის შეწყვეტა გამოიწვია.

აქტივობა

მასწავლებელი უზიარებს მოსწავლეებს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებგვერდზე არსებულ ინფორმაციას ბუნების ძეგლის რაობის და საქართველოში არსებული ბუნების ძეგლების შესახებ. მოსწავლეები ირჩევენ მათთვის საინტერესო ბუნების ძეგლს და ამზადებენ სასურველი ფორმატის თვალსაჩინოებას (პოსტერი, ბუკლეტი, ვიდეო, აუდიო, ფოტო და სხვ.) ძეგლის პოპულარიზაციის მიზნით. შესაძლოა, შევთავაზოთ ერთგვარი დათქმა: წარმოიდგინონ საკუთარი თავი გზამკვლევის როლში, რომელიც ამ ძეგლს აცნობს

სხვებს.

აქტივობა

მოსწავლეები ეცნობიან ვიდეოებს სახელწოდებით CyArk Editorial Video: Heritage on the Edge და Climate change threatens UNESCO heritage sites და იმსჯელებენ: რატომ არის აუცილებელი ვიზრუნოთ ჩვენი ისტორიული გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე? როგორ შეიძლება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე ზრუნვა? რა კონკრეტულ ქმედით ნაბიჯებს მოიაზრებს მატერიალური თუ არამატერიალური ძეგლების შენარჩუნებასა და დაცვაზე ზრუნვა?

აქტივობა

მოსწავლეები ამზადებენ სასურველი ფორმატის გზამკვლევს ბუნების ძეგლების დაცვისთვის საჭირო რეკომენდაციებით. გზამკვლევს აცნობენ სკოლას, ხმის მიცემის საფუძველზე შეირჩევა საუკეთესო ვერსია, რომელიც იბეჭდება და ზიარდება თემში.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები – 1 საათი:

2-3 მოსწავლისგან დაკომპლექტებულ ჯგუფს ვთავაზობთ შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ერთ–ერთს:

1. კულტურული მემკვიდრეობის კვირეული

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი ამზადებს პრეზენტაციას იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში არსებულ ქართული ისტორიული ძეგლის შესახებ.

შემდეგ ჯგუფები ამუშავებენ ინფორმაციას მსოფლიო მემკვიდრეობის კრიტერიუმები. არჩევენ საქართველოს ან მსოფლიოს მასშტაბით ცნობილ ძეგლს (კულტურულს ან ბუნებრივს), რომელიც ჯერ არ არის შეტანილი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. ამზადებენ მის შესახებ პრეზენტაციას და ასაბუთებენ არსებული კრიტერიუმების შესაბამისად თუ რატომ უნდა იყოს კონკრეტული ძეგლი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი.

2. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ადგენენ კითხვარს, რომლის მიზანია სოციალურ–კულტურულ–ისტორიული გავლენების განსაზღვრა კონკრეტული თემის წევრთა იდენტობის ჩამოყალიბებაზე. კითხვარი 3 ასაკობრივი სამიზნე ჯგუფის რესპონდენტებისთვის მზადდება: საშუალო საფეხურის მოსწავლეები; მოსწავლეთა მშობლები; მოსწავლეთა ბებია–პაპები. გამოკითხვის ჩატარების შემდეგ მოსწავლეები აანალიზებენ შედეგებს. ამზადებენ პრეზენტაციას, სადაც მოსწავლეთათვის საინტერესო სხვა ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილი იქნება ის ფაქტორები, რომლებსაც გავლენა ჰქონდა სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტების იდენტობის ფორმირებაზე. მოსწავლეები მსჯელობენ ფაქტორების დროში ცვლილების შესახებ. შეხვედრა შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც კლასის და სკოლის, ასევე თემის მასშტაბით.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად არჩევს კომპლექსურ დავალებას, განსაზღვრავს მის მიზნების, შესრულებისთვის განკუთვნილ დროს და შეფასების რუბრიკებს.